# საბჭოთა ადამიანი კოსმოსში!

## ფრთები შეისხა კაცობრიობის საუკუნეობრივმა ოცნებამ

### 1961 წლის 12 აპრილს 10 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა ხომალდი „აღმოსავლეთი“ მშვიდობიანად დაეშვა ჩვენი დიადი სამშობლოს წმიდა მიწაზე



**იური გაგარინი:** გთხოვთ მოახსენოთ პარტიასა და მთავრობას და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ დაშვება ნორმალურად განხორციელდა, თავს კარგად ვგრძნობ; ტრავმა არ მომსვლია და არ დავშავებულვარ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 41-ე წელი | № 85 (11999) | ხუთშაბათი, 13 აპრილი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.


# ვაშა საბჭოთა მეცნიერებას!

## ყველა მეცნიერს, ინჟინერს, ტექნიკოსს, მუშას, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ მსოფლიოში ადამიანის პირველი კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებაში

### პირველ საბჭოთა კოსმონავტს ამხანაგ იური ალექსის-ძე გაგარინს

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობარო თანამემამულეებო!

სასიხარულო, აღმაფრთოვანებელ მოვლენას განიცდიან ჩვენი ქვეყნის ხალხები. 1961 წლის 12 აპრილს კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენმა სამშობლომ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა — წარმატებით განახორციელა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“ ადამიანის გაფრენა კოსმოსურ სივრცეში.

საბჭოთა ადამიანის გაფრენა კოსმოსში ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის უდიდესი მიღწევაა, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების თავისუფალი და შთაგონებული შრომის შედეგია. ის, რაზეც წარსულში ოცნებობდნენ რუსული და მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი წარმომადგენლები, რასაც თავისი სიცოცხლე მოახმარა ჩვენი ხალხის გენიალურმა შვილმა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკიმ, დღეს ცოცხალ სინამდვილედ იქცა, ჩვენი გმირული დღეების სინამდვილე გახდა. ეს საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო წვლილია მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საგანძურში. საბჭოთა კავშირის ამ ფასდაუდებელ დამსახურებას მადლობით შეხვდება კაცობრიობა. კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გმირული გაფრენით ახალი ერა დაიწყო დედამიწის ისტორიაში. კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება ახდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის სახელით მხურვალედ ულოცავენ გონებისა და შრომის დიად გამარჯვებას ყველა მეცნიერს, კონსტრუქტორს, ტექნიკოსს, მუშას, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ მსოფლიოში ადამიანის პირველი კოსმოსური გაფრენის წარმატებით განხორციელებაში.

გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ჩვენო ამხანაგო იური ალექსის-ძე გაგარინ, უდიდეს გმირობას — კოსმოსში პირველ გაფრენას.

ჩვენი თავისუფალი, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით 1917 წლის ოქტომბერში დარაზმა შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის, ახლა მთელ მსოფლიოს უჩვენებს ახალი, სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობას საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში.

ადამიანის კოსმოსური გაფრენა გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგია, იმის შედეგია, რომ კომუნისტური პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით დაუცხრომლად ზრუნავენ მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განუწყვეტელი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ოთხ წელზე ნაკლები გავიდა მსოფლიოში დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებიდან კოსმოსში ადამიანის წარმატებით გაფრენამდე.

საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მუშებმა თავიანთი შეუპოვარი და თავდადებული შრომით ადამიანის გენიას გაუკაფეს გზა მსოფლიო სივრცის სიღრმეებში. მათ ეს გააკეთეს მშვიდობისათვის დედამიწაზე, ყველა ხალხის ბედნიერებისათვის.

ადამიანის პირველი გაფრენა კოსმოსში ახალი შთაგონებისა და შემართებათა წყარო გახდება ყველა საბჭოთა ადამიანისათვის შემდგომი პროგრესისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის მისაღწევად.

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს — კოსმოსის დამპყრობლებს!

დიდება ჩვენს ხალხს — შემოქმედ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ნათელი მომავლის — კომუნიზმის გზას უკვალავს მთელ კაცობრიობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების დიდ შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი** — **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

# ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი პირველ კოსმონავტ ი. ა. გაგარინთან

**სოჭის** რაიონში მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი 12 აპრილს შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთის“ მომზადებასა და გაშვებას, მსოფლიოში პირველი კოსმონავტის, საბჭოთა მოქალაქის, მფრინავ-კომუნისტის ი. ა. გაგარინის — კოსმოსის ათვისების პიონერის ფრენას.

მალე მას შემდეგ, რაც შეიტყეს, რომ მშვიდობიანად დამთავრდა პირველი კოსმოსური ფრენა და ი. ა. გაგარინი დაეშვა ნავარაუდევ რაიონში, გაიმართა ტელეფონით საუბარი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვსა და პირველ კოსმონავტ ი. ა. გაგარინს შორის. ეს მოხდა 13 საათზე მოსკოვის დროით. ნ. ს. ხრუშჩოვს აცნობეს, რომ მასთან საუბარი სურდა ი. ა. გაგარინს.

— დიდი სიამოვნებით ვესაუბრები ამხანაგ გაგარინს, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

აიღო რა ტელეფონის მილი, ნიკიტა სერგის-ძემ თქვა: მოხარული ვარ მოგისმინოთ, ძვირფასო იური ალექსის-ძევ.

**ი. ა. გაგარინი:** — ეს-ეს არის მივიღე თქვენი მისასალმებელი დეპეშა, რომელშიც მომილოცეთ მსოფლიოში პირველი კოსმოსური რეისის წარმატებით დამთავრება. გულითადად გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ, ამ მოლოცვისათვის. ბედნიერი ვარ მოგახსენოთ, რომ პირველი კოსმოსური ფრენა წარმატებით დამთავრდა.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** — გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ, ძვირფასო იური ალექსის-ძევ! თქვენ მსოფლიოში პირველმა განახორციელეთ კოსმოსური ფრენა. თქვენი გმირობით ასახელეთ ჩვენი სამშობლო, გამოიჩინეთ ვაჟკაცობა და გმირობა ასეთი პასუხსაგები ამოცანის შესრულებაში. თქვენი გმირობით უკვდავი ადამიანი გახდით, რადგანაც ადამიანთაგან პირველი შეიჭერით კოსმოსში.

მითხარით, იური ალექსის-ძევ, როგორ გრძნობდით თავს ფრენისას. როგორ მიმდინარეობდა ეს პირველი კოსმოსური ფრენა?

**ი. ა. გაგარინი:** — თავს კარგად ვგრძნობდი. ფრენა ძლიერ წარმატებით მიმდინარეობდა. კოსმოსური ხომალდის მთელი აპარატურა ზუსტად მუშაობდა. ფრენის დროს დიდი სიმაღლიდან ვხედავდი დედამიწას. მოჩანდა ზღვები, მთები, დიდი ქალაქები, მდინარეები, ტყეები.

**ნ. ს. ხრუშჩოვი:** — შეიძლება ითქვას, რომ კარგად გრძნობდით თავს?

**ი. ა. გაგარინი:** სწორად თქვით, ნიკიტა სერგის-ძევ, თავს კარგად ვგრძნობდი კოსმოსურ ხომალდში, ისე როგორც შინ. ერთხელ კიდევ გმადლობთ გუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ხალხებს! ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს! მთელ პროგრესულ კაცობრიობას!

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიმართვა

მოხდა დიადი მოვლენა, ადამიანმა ისტორიაში პირველად განახორციელა გაფრენა კოსმოსში.

1961 წლის 12 აპრილს 9 საათსა და 7 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი“, რომელშიც ადამიანი იყო, ავიდა კოსმოსში, შემოუფრინა გარშემო დედამიწას და მშვიდობით დაეშვა ჩვენი სამშობლოს — საბჭოების ქვეყნის წმიდათა-წმიდა მიწაზე.

პირველი ადამიანი, რომელმაც კოსმოსში შეაღწია, არის საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე!

ეს ადამიანის უმაგალითო გამარჯვებაა ბუნების ძალებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მონაპოვარია, ადამიანის გონების გამარჯვებაა. დასაბამი მიეცა ადამიანის ფრენას კოსმოსურ სივრცეში.

ამ გმირობაში, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა, განსახიერებულია საბჭოთა ხალხის გენია, სოციალიზმის მძლავრი ძალა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საბჭოთა მთავრობა დიდი სიხარულისა და კანონიერი სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ ეს ახალი ერა კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანამ.

წარსულში ჩამორჩენილ მეფის რუსეთს ოცნებაც არ შეეძლო ასეთი საგმირო საქმეებზე პროგრესისათვის ბრძოლაში, ტექნიკურ-ეკონომიურად უფრო განვითარებულ ქვეყნებთან შეჯიბრებაზე.

მუშათა კლასის ნებით, ხალხის ნებით, რომლებიც შთააგონა კომუნისტების პარტიამ ლენინის მეთაურობით, ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, უმაგალითო მწვერვალებს მიაღწია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

როცა მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში ხელში აიღო ძალაუფლება, ბევრს, პატიოსან ადამიანებსაც კი, ეეჭვებოდა, რომ იგი შეძლებდა ქვეყნის მართვას, შეინარჩუნებდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თუნდაც მიღწეულ დონეს.

და აი ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე მუშათა კლასი, საბჭოთა კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი ცხადყოფენ მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო გამარჯვებას. ჩვენმა ქვეყანამ გაუსწრო მსოფლიოს ყველა სხვა სახელმწიფოს და პირველმა გაკვალა კოსმოსის გზა.

საბჭოთა კავშირმა პირველმა გაუშვა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, პირველმა გაგზავნა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, პირველმა გაგზავნა კოსმოსური ხომალდი მთვარეზე, შექმნა მზის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. განახორციელა კოსმოსური ხომალდის გაფრენა პლანეტა ვენერის მიმართულებით. საბჭოთა თანამგზავრი ხომალდები, რომლებზეც ცოცხალი არსებანი იყვნენ, ზედიზედ მიფრინავდნენ კოსმოსში და ბრუნდებოდნენ დედამიწაზე.

კოსმოსის ათვისებაში ჩვენი გამარჯვებების გვირგვინია საბჭოთა ადამიანის ტრიუმფული გაფრენა კოსმოსური ხომალდით დედამიწის გარშემო.

სახელი და დიდება მუშათა კლასს, საბჭოთა გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს!

სახელი და დიდება საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს — კოსმოსური ხომალდის შემქმნელებს!

სახელი და დიდება პირველ კოსმონავტს — ამხანაგ იური ალექსის-ძე გაგარინს, კოსმოსის ათვისების პიონერს!

ჩვენ, კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ადამიანებს, წილად გვხვდა პატივი პირველთ შეგვეღწია კოსმოსში. კოსმოსის ათვისებაში მოპოვებული გამარჯვებები მარტო ჩვენი ხალხის მიღწევად კი არ მიგვაჩნია, არამედ მთელი კაცობრიობის მიღწევად. ჩვენ სიხარულით ვაყენებთ ამ გამარჯვებებს ყველა ხალხის სამსახურში, დედამიწის ყველა ადამიანის პროგრესის, ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ჩვენს მიღწევებსა და აღმოჩენებს ვაყენებთ არა ომის სამსახურში, არამედ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების სამსახურში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება იმის უსაზღვრო შესაძლებლობებს სახავს, რომ დავეუფლოთ ბუნების ძალებს და ადამიანის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ ისინი, ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა უზრუნველვყოთ მშვიდობა.

ამ საზეიმო დღეს კვლავ მივმართავთ ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს მშვიდობის შესახებ მოწოდების სიტყვით.

დაე ყველა ადამიანმა, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა, კანის ფერისა, სარწმუნოებისა და სოციალური კუთვნილებისა, ყოველი ღონე იხმაროს მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ბოლო მოვუღოთ გამალებულ შეიარაღებას! განვახორციელოთ მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღება! ეს იქნება გადამწყვეტი წვლილი მშვიდობის დაცვის წმიდათა-წმიდა საქმეში.

ჩვენი სამშობლოს სახელოვანი გამარჯვება ყველა საბჭოთა ადამიანს აღაფრთოვანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის მშენებლობაში!

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ მშვიდობის, პროგრესისა და კაცობრიობის ბედნიერებისათვის!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** — **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 12 აპრილი.

# საბჭოთა კოსმონავტს, რომელმაც მსოფლიოში პირველად განახორციელა კოსმოსური ფრენა

## მაიორ იური ალექსის-ძე გაგარინს

ძვირფასო იური ალექსის-ძევ!

დიდ სიხარულს მგვრის მხურვალედ მოგილოცოთ შესანიშნავი გმირობა — პირველი კოსმოსური ფრენა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“.

მთელი საბჭოთა ხალხი აღტაცებულია თქვენი სახელოვანი გმირობით, რომელიც საუკუნოდ დარჩება როგორც მაგალითი მამაცობის, გამბედაობისა და გმირობისა კაცობრიობის სამსახურისათვის.

ფრენამ, რომელიც თქვენ მოახდინეთ, ახალი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის მიერ კოსმოსის დაპყრობის ისტორიაში და საბჭოთა ადამიანების გული აღავსო დიდი სიხარულითა და სიამაყით თავიანთი სოციალისტური სამშობლოსათვის.

სულით და გულით გილოცავთ მშვიდობით დაბრუნებას კოსმოსური მოგზაურობიდან მშობლიურ დედამიწაზე. გეხვევით.

ნახვამდის მოსკოვში შეხვედრამდე.

**ნ. ხრუშჩოვი**

1961 წლის 12 აპრილი.

# ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲡ!

## Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢ Ი. Ა. ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲗᲐᲜ

(დასასრული)

ლითადი მოლოცვისა და მისალმებისათვის ფრენის წარმატებით დამთავრების გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — მოხარული ვარ მოვისმინო თქვენი ხმა და მოგესალმოთ. მოხარული ვიქნები შეგხვდეთ მოსკოვში. თქვენთან ერთად, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ზეიმით აღვნიშნავთ ამ დიდ გმირობას კოსმოსის ათვისების საქმეში. დაე მთელი მსოფლიო გვიყურებდეს და ხედავდეს, თუ რა ძალუძს ჩვენს ქვეყანას, რა ძალუძს ჩვენს დიდ ხალხს, ჩვენს საბჭოთა მეცნიერებას.

ი. ა. გაგარინი: — დაე ახლა ყველა ქვეყანა დაგვეწიოს!

ნ. ს. ხრუშჩოვი: — სწორია! ძლიერ მოხარული ვარ, რომ თქვენი ხმა მხნედ და მტკიცედ გაისმის, რომ თქვენ ასეთ შესანიშნავ განწყობილებაზე ხართ! სწორად ამბობთ, — დაე კაპიტალისტური ქვეყნები დაეწიონ ჩვენს ქვეყანას, რომელმაც გზა გაკაფა კოსმოსში, რომელმაც გაგზავნა მსოფლიოში პირველი კოსმონავტი. ყველა ჩვენგანი ამაყობს ამ დიდი გამარჯვებით.

აქ არის ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, იგი გულითადად მოგილოცავთ და მოგესალმებათ.

ი. ა. გაგარინი: — გადაეცით ჩემი მადლობა ანასტას ივანეს-ძეს და ყოველივე სიკეთე უსურვეთ!

ნ. ს. ხრუშჩოვი: — მითხარით, იური ალექსის-ძევ, გყავთ ცოლი, შვილები?

ი. ა. გაგარინი: — მყავს ცოლი ვალენტინა ივანეს ასული და ორი გოგონა — ლენა და გალია.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — ცოლმა იცოდა, კოსმოსში რომ მიფრინავდით?

ი. ა. გაგარინი: — დიახ, იცოდა, ნიკიტა სერგის-ძევ.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — გადაეცით ჩემი გულითადი სალამი თქვენს მეუღლესა და თქვენს შვილებს. დაე თქვენი ქალიშვილები გაიზარდონ და იამაყონ თავიანთი მამით, რომელმაც ესოდენ დიდი გმირობა ჩაიდინა ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის.

ი. ა. გაგარინი: — გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ. გადავცემ თქვენს სალამს და სამუდამოდ დავიხსომებ თქვენს გულითად სიტყვებს.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — მშობლები, დედ-მამა, ცოცხალი გყავთ, სად არიან ახლა, რა საქმიანობას ეწევიან?

ი. ა. გაგარინი: — დედ-მამა ცოცხალი მყავს, ისინი სმოლენსკის ოლქში ცხოვრობენ.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — გადაეცით თქვენს დედას და მამას ჩემი გულითადი მილოცვა. მათ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი შვილით, რომელმაც ესოდენ დიდი გმირობა ჩაიდინა.

ი. ა. გაგარინი: — დიდად გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ. გადავცემ თქვენს სიტყვებს ჩემს დედ-მამას. მათ გაუხარდებათ და დიდი მადლობელი იქნებიან თქვენი, ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი: — არა მარტო თქვენი მშობლები, არამედ მთელი ჩვენი საბჭოთა სამშობლო ამაყობს თქვენი დიდი გმირობით, იური ალექსის-ძევ. თქვენ ჩაიდინეთ გმირობა, რომელიც საუკუნეებს გადაეცემა.

კიდევ ერთხელ სულითა და გულით მოგესალმებით პირველი კოსმოსური გაფრენის წარმატებით დამთავრების გამო. მოსკოვში მალე შეხვედრამდე. ყოველივე სიკეთეს გისურვებთ.

ი. ა. გაგარინი: — გმადლობთ, ნიკიტა სერგის-ძევ. ერთხელ კიდევ გმადლობთ თქვენ, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას დიდი ნდობისათვის, რომელიც გამიწიეთ, და პირობას გაძლევთ, რომ კვლავაც მზად ვარ შევასრულო საბჭოთა სამშობლოს ყოველი დავალება. ნახვამდის, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ!

## ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲜᲓᲘ

ეს არც ლეგენდა, არც ზღაპარია,
არც სასწაული და არც თქმულება.
სამყაროს ბედი ხალხს აბარია,
მშვიდობის გზებიც ხალხს
ეგულება.

თუ კი აქამდე ოცნება იყო
ცის დაპყრობაში ყველაზე ჩქარი,
დღეს მზიანეთიც კაცმა აიღო,
შენგრეულია ზესკნელის კარი.

ელვაზე სწრაფად აიჭრა მაღლა
უცნობ კოსმოსის გმირი პირველი.
ბევრი შენატრის გაგარინს ახლა,
გახდა მსოფლიოს წამში
მხილველი.

იქნებ მოუნდა ვენერას ნახვა,
ბაირაღს მოჰკრა მთვარეზე თვალი!
კაცობრიობა ფიქრებით გაჰყვა,
ვინც იმ შორეთში დატოვა კვალი.

გმირს განსაცდელი რას დააკავებს,
თუ სადღეგმიროდ უხმობს მამული.
გადაუქროლებს თავზე
ვარსკვლავებს,
ცად რომ ციმციმებს
მიმოფანტული.

გულით ვიგონებთ მამაც მაგელანს,
ვინც დედამიწა მოვლო პირველად.
გაგარინი კი მზესთან გაელავს
საუკუნეთა გასაკვირველად.

ველარ მოისხამს ტყე იმდენ
ფოთოლს,
რამდენ ტაშს უკრავს რაინდს
სამყარო.
კრემლმა სამშობლო დიდებით
მორთოს,
ხალხს გაზაფხულმა ვარდი აყაროს.

ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲣᲣᲠᲣᲚᲘ.

12 აპრილი.

## ᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲚᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** 12 აპრილი. (საკდესი). კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო გმირობისათვის, რამაც სამარადისოდ გაუთქვა სახელი საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას და რაც სამშობლოს ინტერესებისადმი უანგარო სამსახურის შესანიშნავი ნიმუშია, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში შეიტანა ლენინური კომკავშირის აღზრდილი, ამხანაგი იური ალექსის-ძე გაგარინი, მსოფლიოში პირველი მფრინავი-კოსმონავტი, რომელმაც გზა გაუკაფა დედამიწის ადამიანებს კოსმოსში.



## ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ

### საკდესის ცნობა

1961 წლის 12 აპრილს საბჭოთა კავშირში დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაყვანილ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი", რომელშიც ადამიანია.

კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის" პილოტი-კოსმონავტია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე მფრინავი მაიორი იური ალექსის-ძე **გაგარინი.**

კოსმოსურმა მრავალსაფეხურიანმა რაკეტამ სტარტი წარმატებით გაიარა, და პირველი კოსმოსური სიჩქარის განვითარებისა და მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურისაგან მოცილების შემდეგ თანამგზავრმა ხომალდმა დაიწყო თავისუფალი ფრენა დედამიწის გარშემო ორბიტაზე.

წინასწარი მონაცემებით, დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის ბრუნვის პერიოდი 89,1 წუთია; დედამიწის ზედაპირიდან მინიმალური დაშორება (პერიგეაში) 175 კილომეტრია, ხოლო მაქსიმალური მანძილი (აპოგეაში) — 302 კილომეტრი. ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის მიმართ 65 გრადუსი და 4 მინუტია.

კოსმოსური თანამგზავრი ხომალდის წონა პილოტი-კოსმონავტითურთ 4.725 კილოგრამია, მატარებელი რაკეტის საბოლოო საფეხურის წონის ჩაუთვლელად.

კოსმონავტ ამხანაგ **გაგარინთან** დამყარებულია ორმხრივი რადიოკავშირი. ხომალდის მოკლე ტალღის გადამცემთა სიხშირე 9,019 მეგაჰერცი და 20,006 მეგაჰერცია, ხოლო ულტრამოკლე ტალღების დიაპაზონით 143,625 მეგაჰერცი. რადიოტელემეტრიული და სატელევიზიო სისტემების დახმარებით წარმოებს დაკვირვება ფრენის დროს კოსმონავტის მდგომარეობაზე.

თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთის" ორბიტაზე გაყვანის პერიოდი კოსმონავტმა ამხანაგმა **გაგარინმა** დამაკმაყოფილებლად გადაიტანა და ახლა თავს კარგად გრძნობს. სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო სასიცოცხლო პირობებს თანამგზავრი ხომალდის კაბინაში, ნორმალურად მუშაობენ.

ფრენა თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთისა", რომელშიც პილოტი-კოსმონავტი ამხანაგი **გაგარინია,** ორბიტაზე გრძელდება.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** 12 აპრილი. კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთიდან" მიღებული ცნობებით, 9 საათსა და 52 წუთზე მოსკოვის დროით პილოტმა-კოსმონავტმა მაიორმა გაგარინმა, სამხრეთ ამერიკას რომ გადაუფრინა, გადმოსცა: „ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს, თავს კარგად ვგრძნობ".

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** 12 აპრილი. 10 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით პილოტმა-კოსმონავტმა მაიორმა გაგარინმა, აფრიკას რომ გადაუფრინა, კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთიდან" გადმოსცა: „ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს, უწონობის მდგომარეობას კარგად ვიტან".

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** 12 აპრილი. 10 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით, დასახული პროგრამის შესაბამისად დედამიწის შემოფრენის შემდეგ, ჩართულ იქნა დასამუხრუჭებელი ძრავიანი დანადგარი და კოსმოსურმა თანამგზავრმა ხომალდმა, რომელშიც, იყო პილოტი-კოსმონავტი მაიორი გაგარინი, დაიწყო დაშვება ორბიტიდან საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში დასაჯდომად.

მას შემდეგ, რაც წარმატებით განახორციელა დასახული კვლევა და შეასრულა ფრენის პროგრამა, 1961 წლის 12 აპრილს 10 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა ხომალდი „აღმოსავლეთი" მშვიდობიანად დაეშვა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

მფრინავმა-კოსმონავტმა მაიორმა გაგარინმა განაცხადა: **„გთხოვთ მოახსენოთ პარტიასა და მთავრობას და პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ დაშვება ნორმალურად განხორციელდა, თავს კარგად ვგრძნობ, ტრავმა არ მომსვლია და არ დავშავებულვარ".**

კოსმოსურ სივრცეში ადამიანის ფრენის განხორციელება კაცობრიობის მიერ კოსმოსის დამორჩილების გრანდიოზულ პერსპექტივებს სახავს.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲚᲝᲢᲘ-ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘ ᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘ

მაიორ იური გაგარინს, ისტორიაში პირველ პილოტ-კოსმონავტს, ერთი თვის წინათ შეუსრულდა 27 წელი.

იგი დაიბადა 1934 წლის 9 მარტს სმოლენსკის ოლქის გჟატსკის რაიონში (რუსეთის ფედერაცია) კოლმეურნის ოჯახში.

1941 წელს შევიდა საშუალო სკოლაში, მაგრამ ჰიტლერელთა შემოსევამ შეაწყვეტინა სწავლა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაგარინის ოჯახი ქალაქ გჟატსკში გადავიდა. იქ იური განაგრძობდა სწავლას საშუალო სკოლაში. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა ქალაქ ლიუბერცის სახელოსნო სასწავლებელი მოსკოვის მახლობლად მეყალიბე-მომსხმელის სპეციალობით და ამავე დროს მუშა ახალგაზრდობის სკოლა.

შემდეგ იური გაგარინი სწავლობდა ქალაქ ვოლგის სარატოვის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ტექნიკუმი.

ავიაციაში პირველი ნაბიჯი გაგარინმა გადადგა, როცა ტექნიკუმის სტუდენტი იყო — სწავლობდა სარატოვის აეროკლუბში. აეროკლუბის კურსის დამთავრების შემდეგ 1955 წელს სწავლობდა ქალაქ ორენბურგის საავიაციო სასწავლებელში. 1957 წლიდან, როცა გაგარინმა დაამთავრა ეს სასწავლებელი პირველი თანრიგით, იგი მსახურობს საბჭოთა ავიაციის მფრინავად.

შარშან იური გაგარინი შევიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

იგი ცოლიანია, მეუღლე — ვალენტინა გაგარინა 26 წლისაა, დაამთავრა ორენბურგის სამედიცინო სასწავლებელი. მათი გოგონა ელენე ორი წლისაა, მეორე გოგონა — გალია ერთი თვისა.

გაგარინის მამა 59 წლისაა, დურგლად მუშაობს. დედა ანა, დაბადებული 1903 წელს, დიასახლისია. (საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში მოპოვებულია შესანიშნავი წარმატებები. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი გენიისა და ჩვენი ქვეყნის მაღალი ინდუსტრიულ-ტექნიკური დონის მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიული მიღწევები.

საბჭოთა კავშირში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ფართო ქსელი, რომლებშიც მუშაობს 350 ათასზე მეტი მეცნიერი მუშაკი. მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი სახალხო გახდა, მის მიღწევებს ფართოდ ვიყენებთ სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

მეცნიერების განვითარებაში დიდი წარმატებები აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებს, აღიზარდნენ მეცნიერ მუშაკთა ეროვნული კადრები, შექმნილია სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი.

საბჭოთა მეცნიერები თავდადებით შრომობენ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. მათი შესანიშნავი მეცნიერული მიღწევებით სამართლიანად ამაყობს მთელი საბჭოთა ხალხი.

სამამულო მეცნიერების უდიდესი წარმატებები მიღწეულია უსაზღვრო შესაძლებლობათა მეოხებით, რომლებსაც სოციალისტური წყობილება იძლევა მეცნიერთა შემოქმედებითი საქმიანობისათვის, იმის მეოხებით, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი მუდამ ზრუნავენ მეცნიერების განვითარებისათვის.

ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, მეცნიერებისა და ტექნიკის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ უმოკლეს ვადაში უნდა დაიკავონ მსოფლიოში მოწინავე პოზიციები მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა გადამწყვეტ დარგში.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს თეორიული კვლევა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემებისა, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, მეცნიერება მიუახლოვდეს წარმოებას და უზრუნველყოფილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების უსწრაფესად დანერგვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში.

ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ხელმძღვანელობის სისტემის ძირეული გარდაქმნა, რათა მოისპოს არასაჭირო პარალელიზმი მეცნიერული კვლევის განხორციელებაში.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული კვლევის პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის სისტემის სრულყოფის საკითხებს, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციას.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობის, მეცნიერული კვლევის დაგეგმვის კოორდინაციის არსებული ფორმები შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

საბჭოთა მეცნიერების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, რომელსაც თანამედროვე პირობებში უნდა წარედგინოს უფრო მაღალი მოთხოვნები სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ხელმძღვანელობის საქმეში.

ის გარემოება, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში არის ბევრი დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულება, მის ყურადღებას აშორებს მეცნიერების პერსპექტიული პრობლემების გადაჭრას, ქსაქსავს მის ძალებსა და სახსრებს დარგობრივი ხასიათის მრავალი ტექნიკური საკითხის დამუშავებაზე, რომლებიც უფრო წარმატებით შეიძლება გადაიჭრას სპეციალიზებულ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

ეს ნაკლოვანებანი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობაში მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის საერთო-სახელმწიფო ორგანო, რომელიც უნდა ახორციელებდეს მეცნიერული კვლევის კოორდინაციას. ასეთი ორგანოს უქონლობა მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს მეცნიერული კვლევის გაუმართლებელ დუბლირებას და მეცნიერთა კადრებისა და მატერიალური სახსრების არარაციონალურად გამოყენებას.

იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის საჭირო კოორდინაცია, გავაუმჯობესოთ მეცნიერული კვლევის დაგეგმვა და სახალხო მეურნეობაში დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, აგრეთვე მოვსპოთ ზედმეტი პარალელიზმი მეცნიერულ სამუშაოთა შესრულებაში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს შეიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს ეკისრება ხელმძღვანელობა გაუწიოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას უმნიშვნელოვანესი კომპლექსური მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების შესასრულებლად პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესაბამისად და უზრუნველყოს კოორდინაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობისა უმნიშვნელოვანესი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე უზრუნველყოს განუწყვეტელი მეცნიერული კვლევის განხორციელება ამ კვლევის შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა წინადადებების საფუძველზე უნდა შეიმუშაოს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის იმ მიღწევათა დანერგვის პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას, და შეიტანოს ეს გეგმები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი:

განახორციელებს საერთო სახელმწიფოებრივ კონტროლს ყველა სამინისტროს, უწყებისა და ორგანიზაციის მიერ უმნიშვნელოვანესი მეცნიერული კვლევის შესრულებისადმი და ოპერატიულად მიიღებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები უსწრაფესად ინერგებოდეს სახალხო მეურნეობაში;

მოამზადებს წინადადებებს უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემებზე, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება ახალ აღმოჩენებთან და გამოგონებებთან დაკავშირებით;

მოამზადებს წინადადებებს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების უნიკალური მოწყობილობით, აპარატურითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფის საკითხებზე;

შეისწავლის და განაზოგადებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს ამ მიღწევების სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გამოყენების მიზნით, აგრეთვე უზრუნველყოფს სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინაციას მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში; ხელმძღვანელობას გაუწევს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის საქმეს ჩვენს ქვეყანაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგენს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების გეგმების პროექტების საფუძველზე, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, აგრეთვე მეცნიერების განვითარებისათვის კაპიტალდაბანდებათა გეგმების პროექტებს.

იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციას, რომლებსაც დარგთაშორისი ხასიათი არა აქვთ, განახორციელებენ სამინისტროები, უწყებები და სახალხო მეურნეობის საბჭოები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

კომიტეტის თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები, აგრეთვე კომიტეტის წევრები თანამდებობით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი პრობლემების განხილვისა და ჩვენი ქვეყნის მეცნიერული კვლევის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისათვის შეიქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შევლენ მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული დარგების თვალსაჩინო მეცნიერები და წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს ევალება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, დაინტერესებულ მოკავშირე რესპუბლიკებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შექმნას ცალკეული პრობლემების სამეცნიერო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში უნდა შევიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები და სპეციალისტები.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ხელმძღვანელობის სისტემის გარდაქმნის ღონისძიებათა განხორციელებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ თავისი საქმიანობა წარმართოს მეცნიერების იმ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებათა დასამუშავებლად, რომლებიც სწრაფად ვითარდებიან და რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია:

უნდა უზრუნველყოფდეს ბუნებისმეტყველების (ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, სამყაროსა და დედამიწის შესახებ მეცნიერების) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის მეცნიერულ და მეთოდურ ხელმძღვანელობასა და შესრულებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის;

უფრო ფართო დახმარებას უწევდეს მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს მეცნიერული კვლევის შესრულებაში და ახორციელებდეს თავისი საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის კოორდინაციას ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორიული პრობლემების დარგში;

ახორციელებდეს სამეცნიერო ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებთან;

ახორციელებდეს მეცნიერთა კადრების მომზადებას.

იმ მიზნით, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ მთელი ძალებით იმუშაოს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შესასრულებლად ბუნებისმეტყველებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში, აგრეთვე იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს დარგობრივი პროფილის ინსტიტუტების საქმიანობა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების, რუსეთის სფსრ სამინისტროების, უწყებებისა და მინისტრთა საბჭოების გამგებლობაში გადაეცემა მთელი რიგი ინსტიტუტები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებანი, აგრეთვე ფილიალები სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია კვლავინდებურად ახორციელებს ფილიალების მეცნიერულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში გადაცემული ფილიალების მთავარი ამოცანა იქნება დახმარება გაუწიონ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს შესაბამისი რაიონების ბუნებრივი რესურსების შესწავლასა და საწარმოო ძალების განვითარებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს დაავალეს დაამტკიცოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მთავარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სია და ტიპური დებულება ამ ინსტიტუტების შესახებ, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი მთავარი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და მათი დაქვემდებარების შესახებ.

ახალ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ორგანიზაცია მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად განხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით უქმდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გამგებლობაში მყოფი ორგანიზაციები გადაეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ განახორციელონ მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ხელმძღვანელობის რეორგანიზაცია ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ამოცანათა და ღონისძიებათა შესაბამისად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ყველა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო გააძლიერონ კვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში და უწინარეს ყოვლისა გააფართოონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის მქონე ძირითად სამეცნიერო პრობლემებზე, რათა საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ უმოკლეს ვადაში მიაღწიონ ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს.

# საბჭოთა მოქალაქე — კოსმოსის მეკვლე

**საქდესის** კორესპონდენტმა ცნობილ საბჭოთა ფიზიოლოგს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ე. ა. ასრატიანს მიმართა თხოვნით გააშუქოს სსრ კავშირის უდიდესი მიღწევა კოსმოსის ათვისებაში.

— ყოველი ეპოქა როდი აღინიშნება მომავალ თაობათა შეგნებაში, — თქვა საუბარში მეცნიერმა, — მოვლენით, რომელსაც პრეცედენტი არა აქვს ისტორიაში. XX საუკუნის მეორე ნახევარში ასეთი მოვლენა იყო ადამიანის შეჭრა კოსმოსში. სამყაროს საზღვრებმა თითქოს გაიწია. მოვიდა ის დრო, რომელიც განჭვრიტა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკიმ. ადამიანმა გახლიჩა ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი და, გაათავისუფლა რა ატომის ენერგია, გადაწყვიტა დაენახა სხვა სამყაროებიც, „აეთვისებინა" მზის ახლო სივრცე. კაცობრიობას თითქოს ფრთები შეესხა.

## 1.

### კოსმოსის „საცხოვრებლად მოწყობის" პროგრამა

**დედამიწის** ხელოვნური თანამგზავრების თითქმის პირველი გაფრენიდანვე დაიწყო დისკუსია საბჭოთა და ამერიკელ სპეციალისტებს შორის: როგორი უნდა იყოს თანამგზავრი — მძიმე თუ მსუბუქი?! ახლა, ალბათ, უკვე საეჭვო აღარ არის, რომ მსუბუქი თანამგზავრის იდეის მიზანია უფრო „მსუბუქი" წესით გადაიჭრას პრობლემა. სავსებით გასაგებია, რომ პატარა წონის ხელოვნური ციური სხეულის გაყვანა ორბიტაზე ტექნიკურად გაცილებით მარტივია, ვიდრე მთელი საჰაერო ავტობუსის გაშვება და მისთვის კოსმოსური სიჩქარის მიცემა.

დისკუსია დაიწყო უკვე მაშინ, როცა მთელმა მსოფლიომ განცვიფრებით წაიკითხა ცნობა 83,6 კილოგრამი წონის პირველი ბურთისებრი საბჭოთა თანამგზავრის გაშვების შესახებ. ამ განსაცვიფრებელმა გაფრენამ, რომელმაც საუკუნეებში დაამკვიდრა საბჭოთა მეცნიერების პრიორიტეტი კოსმოსური სივრცის შესწავლაში, მოგვცა არა მარტო პირველი ცნობები მოვლენების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობს სივრცეში დედამიწის გარშემო, არამედ დაადასტურა საბჭოთა კონსტრუქტორების, მეცნიერების, ინჟინრების გაანგარიშებათა სისწორე და პერსპექტიულობა. საკითხი პრინციპულად გადაიჭრა თანამგზავრის საბჭოთა თეორიის სასარგებლოდ. და უკვე შემდეგი გაშვებიდან თანამგზავრის წონა ერთბაშად რამდენჯერმე გაადიდეს. ამის მეოხებით შესაძლებლობა მოგვეცა ბევრი ასპექტით გაგვეშალა კოსმოსური სივრცის შესწავლის პროგრამა, რომელიც წინასწარ იყო შემუშავებული ძირითად დეტალებში.

ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს მნიშვნელოვანწილად კოსმოსის „საცხოვრებლად მოწყობის" პროგრამაა, იგი წარმოადგენს ცოცხალი ორგანიზმის გეგმაზომიერ მომზადებასა და შეგუებას არსებობის სრულიად განსაკუთრებული პირობებისათვის, ადამიანის გაფრენისათვის.

ამრიგად, ექსპერიმენტული მზადება ადამიანის გაფრენისათვის პრაქტიკულად დაიწყო საბჭოთა კავშირში 1957 წლის 3 ნოემბერს, როცა ორბიტაზე დედამიწის გარშემო გავიდა მეორე ხელოვნური თანამგზავრი. მას მიჰქონდა ჰერმეტიული კონტეინერი, რომელშიც იყო საცდელი ცხოველი, კონდიცირებული ჰაერის სისტემა, საკვების მარაგი და ხელსაწყოები კოსმოსური სივრცის პირობებში ცხოველმოქმედების შესასწავლად. აპარატურის, საცდელი ცხოველისა და ელექტროკვების წყაროების საერთო წონა შეადგენდა 508,3 კილოგრამს.

როცა ამის შემდეგ 1958 წლის 15 მაისს საბჭოთა კავშირმა გაუშვა 1.327 კილოგრამი წონის მესამე თანამგზავრი, შესაძლებელი გახდა დაგვეწყო კოსმოსში ადამიანის გაფრენის მომზადების შემდეგი ეტაპი — შეგვექმნა არა მხოლოდ თანამგზავრები, არამედ კოსმოსური ხომალდები — ადამიანის თავისებური საცხოვრებელი სახლები სამყაროს სივრცეებში.

პირველი ასეთი ხომალდის წარმატებითი გაშვებით აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში 1960 წლის გაზაფხული.

## 2.

### ფიზიოლოგია და თეორია აჩქარებისა

**ამასთანავე** დღის წესრიგში დადგა ისეთი სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემები, რომლებსაც მეცნიერება დღემდე არ წასწყდომია. ეს პრობლემები თვისებრივად ახალი იყო არა მარტო იმიტომ, რომ აქ საქმე გვქონდა ბევრ უცნობ რამესთან. ამ პრობლემებმა განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ბიოლოგიის პროგრესი შესაძლებელია მხოლოდ ქიმიასთან, ფიზიკასთან და მექანიკასთან კავშირის გზაზე.

ასეთ პრობლემებს მიეკუთვნება, მაგალითად, მოძრაობის დიდი აჩქარებანი. უნდა გამოგვერკვია, შეძლებს თუ არა ადამიანი ფიზიოლოგიურად გადაიტანოს მოვლენები, რომლებიც უკავშირდება კოსმოსური ხომალდით ფრენას, ხომალდში ყოფნას და შემდგომ დაშვებას დედამიწის ზედაპირზე? რა გავლენას მოახდენს ორგანიზმის ცხოველმოქმედებაზე ხომალდის კოსმოსური აჩქარება და ფრენასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები?

დაიწყეს რა კვლევა, რაც დაგვეხმარებოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, საბჭოთა ფიზიოლოგები და მედიცინის მუშაკები უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდნენ შემდეგ გარემოებას: არ არსებობს ისეთი სიჩქარე, რომელსაც ვერ გადაიტანს ადამიანის ორგანიზმი, თუ ამასთან არ ახლავს მეტისმეტი აჩქარება. მართლაც, გვაწუხებს თუ არა დედამიწის მოძრაობა მზის გარშემო? ამავე დროს ამ მოძრაობის სიჩქარე საათში 100.000 კილომეტრს აღემატება! მაშასადამე, ბიოლოგია, ფიზიოლოგია, მედიცინა მოწოდებული იყვნენ შეესწავლათ არა სიჩქარის, არამედ აჩქარების მოქმედება ცოცხალ ორგანიზმზე. სწორედ აჩქარების გავლენით წარმოიშობა ეგრეთწოდებული გადატვირთვა. საჭირო იყო ამ გადატვირთვის გაანგარიშება დიდი სიზუსტით, აგრეთვე სარწმუნო ცნობების მიღება იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს გადატვირთვა ორგანიზმის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებზე.

გადატვირთვის მოქმედება ორგანიზმზე სავსებით ისეთივეა, როგორც სიმძიმის ძალის მოქმედება. სწორედ რაკეტული ძრავის წევის ძალით გამოწვეული გადატვირთვის გავლენას უნდა გრძნობდეს ასტრონავტი რაკეტის კაბინაში. სტარტის დროს ეს ძალა აღემატება დედამიწის მიზიდულობის ძალას (სხვაგვარად რაკეტა ვერც აფრინდებოდა).

ასეთ გადატვირთვას კი შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციებზე, უწინარეს ყოვლისა სისხლის მიმოქცევაზე, სუნთქვაზე და არაპირდაპირი გავლენა ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლეს განყოფილებათა მოქმედებაზე. გადატვირთვის შედეგად შეიძლება მოხდეს სისხლის გადანაწილება, მისი დაგროვება სხეულის ქვემო ნაწილში, ტვინის სისხლით მომარაგების შესუსტება.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა ფიზიოლოგებსა და მედიცინის მუშაკებს საფუძვლიანად უნდა გამოეკვლიათ გადატვირთვის, უწონობის, ხმაური გარემოს გავლენის ნამდვილი სურათი და ა. შ. შემდეგ შესაძლებელი გახდა შეგვემუშავებინა ამ მავნე ფაქტორებისაგან ორგანიზმის დაცვის, მათი შესაძლო შედეგების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

უნდა ითქვას, რომ ადამიანის ფიზიოლოგია, მისი ინდივიდუალური თავისებურებანი დიდ როლს ასრულებენ კოსმონავტების მომზადების დროს. ყველას როდი შეუძლია კოსმონავტი გახდეს, ისევე როგორც ყველა ვერ გახდება მფრინავი. მაგრამ იმ ადამიანებსაც კი, რომელთა ფიზიოლოგიური აგებულება და უმაღლესი ნერვული მოქმედება შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, კოსმონავტობისათვის ესაჭიროებათ ხანგრძლივი წვრთნა. ამრიგად, ფიზიოლოგებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა: მათ შეიმუშავეს ორგანიზმის ყოველმხრივი წვრთნის და ისეთი პასუხსაგები გამოცდისათვის მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპები, როგორიც არის გაფრენა კოსმოსში.

## 3.

### ფიზიოლოგიური კონტროლი მანძილზე

**ძნელია** გადაჭარბებით შევაფასოთ მნიშვნელობა ორგანიზმზე გადატვირთვის გავლენის მონაცემებისა, რომლებიც მივიღეთ საბჭოთა კოსმოსური ხომალდებით საცდელი ცხოველების ფრენის დროს. ამისათვის მსოფლიო მეცნიერულ პრაქტიკაში პირველად განხორციელდა ფიზიოლოგიური კონტროლი ასეთ უდიდეს მანძილზე. გარდა ამისა, დაკვირვების ობიექტი იყო ორგანიზმები, რომლებიც იმყოფებოდნენ განუწყვეტელი და სწრაფი ფრენის მდგომარეობაში.

ახალმა სრულყოფილმა აპარატურამ, ტელევიზიამ და რადიოტელემეტრიამ საშუალება მოგვცეს შეგვესწავლა ცხოველთა ფიზიოლოგიური რეაქცია ფრენის სხვადასხვა უბანზე. ასე „გაისინჯა" მეორე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ერთ-ერთი მგზავრის — ძაღლის ბელკას პულსი. რეგისტრირებულია მისი პულსის მკვეთრი აჩქარება ფრენის აქტიურ უბანზე, მატარებელი რაკეტის ძრავების მუშაობის დროს. ამ დროის მონაკვეთზე პულსის სიხშირე წუთში 200-ს აღწევდა. შემდეგ პულსი ნორმალური გახდა.

ხოლო გული? როგორ მუშაობს იგი კოსმოსში? როგორ იტანს ეს უაღრესად „მიწიერი" და ესოდენ სასიცოცხლო დიდმნიშვნელოვანი ორგანო ახალი გარემოს მოულოდნელობებს? ამის შესამოწმებლად საჭიროა ელექტროკარდიოგრამა. ეს ელექტროკარდიოგრამა გადავიღეთ პაციენტიდან ასობით კილომეტრის მანძილზე არანაკლები სიზუსტით, ვიდრე ეს სრულდება კლინიკაში, როცა საკურორტო ბარათს ავსებს დასასვენებლად მიმავალი კაცი. ელექტროკარდიოგრამის, გულის მუშაობის, არტერიული ოსცილოგრამების რადიოტელემეტრიულმა რეგისტრაციამ უხვი მასალა მოგვცა, თუ რა გავლენას ახდენს კოსმოსური ფრენა სისხლის მიმოქცევის სისტემაზე.

აი აგრეთვე მონაცემები, თუ როგორ მოქმედებს გადატვირთვა კოსმოსური ხომალდის დაშვების უბანზე.

მაგალითად, მეოთხე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის მგზავრის ჩერნუშკას პულსის სიხშირე ფრენის დასასრულს წუთში იყო 70-90. დაშვების პირველ წუთებში პულსის სიხშირე აღწევდა 240-ს წუთში, ხოლო შემდეგ თანდათანობით შემცირდა 120-140-მდე. ყოველივე ამან ფიზიოლოგებსა და ექიმებს უჩვენა, რაოდენ დიდია სისხლის მიმოქცევის სისტემის გრძნობიერება ფრენის პირობების შეცვლისადმი. ამის შედეგად მეცნიერებმა შეძლეს გამოეტანათ დასკვნა, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები, როცა ხდება კოსმონავტ ადამიანზე გადატვირთვის ზემოქმედების ზღვრული ამორტიზაცია. ამასთანავე გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ ეს გავლენა შეიძლება შეეხოს არა მარტო ადამიანის ორგანიზმის ვეგეტატიურ ფუნქციებს, არამედ ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლეს განყოფილებებსაც, ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება ადამიანის კოსმოსში გაფრენის მომზადების სისტემაში.

## 4.

### არა 2017, არამედ 1961 წელს...

**ალბათ** გახსოვთ, თუ როგორ დაგვიხატა კონსტანტინე ციოლკოვსკიმ თავისი ოცნება კოსმოსური ხომალდით ადამიანის გაფრენის შესახებ. მან ამ მოვლენის დრო განუკუთვნა 2017 და შემდგომ წლებს. სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც ააგო კოსმოსური ხომალდები, სამოგზაუროდ მიდის — ჯერ დედამიწის გარშემო, შემდეგ მთვარეზე და, ბოლოს, ახორციელებს ფრენას მზის სისტემის ფარგლებში. ფანტასტიკური რომანივით ვკითხულობდით სტრიქონებს, რომლებშიც რუსმა მეცნიერმა განჭვრიტა მომენტი, როცა რაკეტა, რომელშიც მეცნიერები არიან, ატმოსფეროს ფარგლებს მიღმა მიფრინავს. სიმძიმის ძალა არ არის. თავდაპირველად ეს დაბრკოლებაა არაჩვეულებრივი ეკიპაჟის ცხოვრებაში. მაგრამ ექსპედიციის მონაწილენი, ეგუებიან რა ახალ პირობებში არსებობას, ხედავენ ასეთი ცხოვრების უპირატესობას.

ასე ოცნებობდა ციოლკოვსკი — რაკეტული მოძრაობის თეორიის ფუძემდებელი. მაგრამ მას არ გაუთვალისწინებია, რომ მოვლენები გაცილებით უფრო სწრაფად განვითარდებოდა, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა ამ გაბედულ და შორსმჭვრეტელ გონებას. არა 2017, არამედ 1961...

მაშ ასე, საბჭოების ქვეყნის მოქალაქემ განახორციელა მსოფლიოში პირველი შეჭრა კოსმოსში. პატივი და დიდება მას! პატივი და დიდება ქვეყანას, რომელმაც აღზარდა გმირი, ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც მომავალი ეკუთვნის. ამ შესანიშნავმა აქტმა ახალი ძალით გამოავლინა სოციალისტური წყობილების უპირატესობანი. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ასეთი სისრულით გაიფურჩქნოს კოლექტიური გონება ჩვენი ხალხისა, რომელმაც მსოფლიოს მისცა მრავალი შესანიშნავი მეცნიერი, კონსტრუქტორი, ინჟინერი. მხოლოდ კომუნისტური პარტიის მაორგანიზებელ როლს შეეძლო გაბედულ შთანაფიქრთან ერთად უზრუნველეყო ასეთი ზუსტი თანამიმდევრულობა კოსმოსში ადამიანის გაფრენის მომზადების გეგმის განხორციელებაში, განუხრელად უზრუნველეყო ასეთი გაფრენის სრული უსაფრთხოება, დაერაზმა ცოდნის მრავალი დარგის მეცნიერები იმ პირობების კომპლექსის შესაქმნელად, რომლებიც გამორიცხავენ მარცხის, შემთხვევითობის, დაღუპვის ყოველ შესაძლებლობას. საბჭოთა კავშირისათვის ეს სენსაციების გამოდევნება კი არა, გრანდიოზული მეცნიერული ექსპერიმენტია!

## 5.

### ხომალდში ადამიანს ვერაფერი შეცვლის

**თუმცა** წინანდელი საბჭოთა ხომალდების კონტეინერებში მოთავსებული იყვნენ ძაღლები, მაგრამ ხომალდის კაბინა, ანუ მისი დასახლებული ნაწილი, დამუშავებული იყო ადამიანზე გაანგარიშებით. კოსმონავტის „ბინა" ისე იყო მოწყობილი, რომ მინიატიურულად იმეორებდა მიწიერი ცხოვრების მთელ ჩვეულებრივ გარემოს, ეს იყო ოპტიმალური პირობები, ნავარაუდევი არა ცხოველებისათვის, რომელთა ორგანიზმისათვის საკმარისი იყო წნევისა და ტემპერატურის ნაკლებად მყარი პარამეტრებიც. მაგალითად, მეორე კოსმოსური ხომალდის მთელი ფრენის დროს კაბინაში შენარჩუნებული იყო ჰაერის ნორმალური წნევა, ისე რომ ჟანგბადის შემცველობა იყო 21-დან 24 პროცენტამდე, ტენიანობისა — 37-დან 40 პროცენტამდე, ტემპერატურისა — პლუს 17-დან პლუს 20 გრადუსამდე. ასეთ ვითარებაში ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედება ნორმალურად უნდა მიმდინარეობდეს. გათვალისწინებული იყო აგრეთვე შრომის, კოსმონავტზე დაკისრებული საქმიანი დატვირთვის როლიც, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ადამიანის მთელ ორგანიზმზე.

ახლა შევეხოთ იმავე საკითხის მეორე მხარეს. ვერავითარი ხელსაწყო და თანამედროვე მექანიზმი ვერ შეცვლის სავსებით ადამიანს კოსმოსურ ხომალდში. მხოლოდ ადამიანს შეუძლია ნამდვილად აღიქვას შთაბეჭდილებათა და დაკვირვებათა მთელი კომპლექსი, რაც აღიბეჭდება ყველაზე ფაქიზ, რთულ და სრულყოფილ მექანიზმში, როგორიც არის ადამიანის ტვინი — უმაღლესი ნერვული მოქმედების საკომანდო პუნქტი.

პირველ, ყოველთვის უძნელეს ნაბიჯს, უეჭველად მოჰყვება ახალი, სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი და წარმტაცი ნაბიჯები. ჩვენ ვდგავართ იმ სიცოცხლის სხვადასხვა ფორმების წარმოშობისა და განვითარების უდიადეს გამოცანათა ამოხსნის ზღურბლზე, რომელიც შესაძლოა არსებობს სხვა პლანეტებზე. ან კი შეიძლება განვჭვრიტოთ, თუ რა უჩვეულო აღმოჩენებს მოახდენს ადამიანი, რომლის კეთილი მისწრაფება მშვიდობისა და ბედნიერებისადმი იპყრობს დედამიწასაც, ცასაც?!

**ლ. მარკელოვა,**
საქდესის კორ.

## რა დიადია!

რადიომ ეს რა გვამცნო ადრიან,
ხმა შემოიჭრა როგორც ქუხილი,
რა უსაზღვროა, რა დიადია
ადამიანის ნება-სურვილი.

ვინ შეძლო ქვეყნად ამის მიღწევა?
ვისი მუქარა ასე კიაფობს?
შეხედეთ დროშას, ცად რომ
ირწევა
და მისი ელვა სივრცეს მიაპობს.

კრემლის ვარსკვლავებს მოავლეთ
თვალი,
ყური დაუგდეთ ალისფერ მოსკოვს,
გეტყვით, დიდებით ვინ შეხსნა კარი
სიტყვით და საქმით პირველად
კოსმოსს,

იმათ კი არა, ვინც მახვილს
ლესავს,
სულ ომებისთვის სჭედავს იარაღს,
კოსმოსში მხოლოდ გაბედა შესვლა
მძლე საბჭოეთის ადამიანმა.

როგორც ფიქრსა და ლამაზ
ოცნებას,
დღეს სიხარულსაც არ აქვს ნაპირი,
საიდან სად არ გაიტყორცნება
ეს აღტაცება მზის და აპრილის.

შორს იმედს იგრძნობს ბედით
ეული,
აიწევს მაღლა დროშების ტარი,
ვიცი, მდუმარე მავზოლეუმში
გაეღიმებათ ლენინს და სტალინს.

ვიცი, გახედავს მწყემსი იალაღს,
გაშლის სიმღერას მთაში
ღრუბლებთან,
რომ ეს მიღწევა ომებს კი არა,
ხალხთა მშვიდობას ემსახურება.

ვიცი, უროს რომ დაჰკრავს
მჭედელი,
დღეს სიამაყეს გულში გაივლებს,
იტყვის, სამშობლო იყოს
დღეგრძელი,
და ხელს გადუსვამს წითელ
ყვავილებს.

**ვ. გორგანელი.**

# ზღვა სიხარული

## საოცარია!

**ჩვენი ინტერვიუ**

**მთელი** მსოფლიო ამ ნამდვილად სასწაულებრივ ამბავზე ლაპარაკობს. საბჭოთა მეცნიერებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა საქვეყნოდ, რომ სწორედ ჩვენი ქვეყანა მიუძღვის წინ კაცობრიობას.

იური გაგარინი სამუდამოდ იცოცხლებს ხალხის გულში, როგორც პირველი კოსმონავტი, გმირი ადამიანი, რომელმაც საბჭოთა თანამგზავრი ხომალდით შემოუარა დედამიწას.

კოსმოსის ათვისების საქმეში ნამდვილად ახალი ხანა დაიწყო. ახლა საუკუნოვანი ოცნება, ადამიანი შეიჭრა უსასრულო სამყაროს სივრცეში და მშვიდობით დაეშვა თავის მშობლიურ პლანეტაზე.

ხვალ უფრო მეტი საოცრების მომსწრენი გავხდებით. საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებას ვერაფერი დაუდგება წინ.

**ე. ხარაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

* * *

**ძნელია** ერთბაშად მოინახოს სიტყვები, რომლებიც სწორად გამოხატავენ შთაბეჭდილებას იმ გრანდიოზული შემთხვევის გამო, რაც 12 აპრილს მოხდა საბჭოთა კავშირში.

ადამიანის გაფრენა კოსმოსში, „მიწიერი" მექანიკის საუკუნეობრივი კანონების „გადალახვა" და „ციური" მექანიკის კანონების საფუძველზე სრბოლა პლანეტის ირგვლივ თანამგზავრის ორბიტით კომფორტაბელურ ხომალდში ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ფაქტია, რასაც ახლო წარსულში უძლიერესი გონებით დაჯილდოებული მეცნიერიც ვერ წარმოიდგენდა.

ჩვენთვის კი, საბჭოთა ადამიანებისათვის, იგი მოულოდნელი არ ყოფილა. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ალბათ ყოველ საბჭოთა ადამიანს სჯეროდა მისი განხორციელების აუცილებლობა სწორედ ჩვენს ქვეყანაში და ჩვენს დღეებში. ეს რწმენა ერთი მხრივ ემყარებოდა იმ ისტორიულ წარმატებებს, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში მიღწეული იყო კოსმოსის შესწავლის საქმეში, და მეორე მხრივ იმას, რომ სოციალისტური ქვეყნის ადამიანისათვის, რომლის ცხოვრება წარიმართება მეცნიერული გეგმების მიხედვით და რომლის შემოქმედებისათვის შექმნილია საუკეთესო პირობები, არ არსებობს გადაუჭრელი ამოცანები. ჩვენ გვჯერა, რომ ახალი, გადამჭრელი სიტყვა მეცნიერების ყველა დარგში უნდა თქვან სწორედ საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენლებმა.

იური გაგარინის პირველი კოსმოსური მგზავრობა „აღმოსავლეთით" ამის ბრწყინვალე საბუთია.

**ვ. კუპრაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გამომყვანი საამქროს მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ სასიხარულო ცნობას კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გაფრენის შესახებ. სურათზე: მუშათა ერთი ჯგუფი შესვენების დროს რადიორეპროდუქტორთან. ფოტო შ. ჩხეტიანისა.



მოსკოვი. წითელი მოედანი. სტუდენტები ი. გაგარინს მისალოც დეპეშას სწერენ. ფოტო ა. ეგოროვისა და ვ. სმეტანინისა.

## თბილისი—გჟატსკი

### ლაპარაკობს გაგარინის ძმა

**გუშინ** საღამოს „კომუნისტის" რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა სმოლენსკის ოლქის ქალაქ გჟატსკს — ალექსი გაგარინის ოჯახს, მიულოცა იურის მშვიდობიანი მგზავრობა კოსმოსში და სთხოვა მოეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ზოგიერთი რამ იურის ცხოვრებიდან.

ტელეფონთან მოვიდა იური გაგარინის უფროსი ძმა ვალენტინი, რომელმაც თქვა:

— როგორც ყველასთვის, ჩვენი ოჯახისთვისაც მოულოდნელი იყო იურის გამგზავრება კოსმოსში. დღეს დილით ყველაზე ადრე ჩვენმა უმცროსმა დამ ზოიამ მოუსმინა რადიოს და ყვირილი მორთო, მალე ყველანი აქ მოდით, ჩვენი იური თანამგზავრ ხომალდს გაჰყოლიაო. დედაჩემს, ანა ტიმოთეს ასულს, შიშისაგან თუ სიხარულისაგან ცრემლები წასკდა. მერე ხელდახელ მოძებნა პატარა ლენასა და გალიასათვის საჩუქრები, შეკრა ბარგი-ბარხანა და დღესვე მოსკოვს გაემგზავრა იურის ცოლ-შვილთან.

დედაჩემი ის იყო წავიდა, რომ იურის დეპეშაც მივიღეთ: „ძალიან კარგად ვარ. მალე გინახულებთ. კოსმოსიდან დაბრუნებული თქვენი იური". მამაჩემმა ალექსი ივანეს-ძემ თავისი ხელით დაწერა იურის სახელზე მისალოცი დეპეშა: „ვამაყობთ შენით. დედა დღეს დილით თქვენთან წამოვიდა. მამა ალექსი, ძმები ვალენტინი, ბორისი, და ზოია".

უზომოდ მოხარული ვართ, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასე დიდ, ზღაპრულ წარმატებას მიაღწია.

საუბრის დასასრულს ვალენტინ გაგარინმა განაცხადა:

გთხოვთ გადასცეთ ქართველ ხალხს ჩვენი მხურვალე სალამი თქვენი გულთბილი მოლოცვისათვის.

## დიდება!..

### ქართველ მეცნიერთა აღფრთოვანება

**გუშინ** დილით მთელ დედაქალაქს მოედო რადიოს აღმაფრთოვანებელი ხმა — კოსმოსი დაპყრობილია. კოსმოსში აფრინდა ადამიანი პირველად ისტორიაში, პირველად მსოფლიოში,

და ეს ადამიანია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, პირველი კოსმონავტი მაიორი იური ალექსის-ძე გაგარინი.

უჩვეულო სიხარული სუფევდა რესპუბლიკის მეცნიერული აზროვნების ცენტრში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზებში, სამუშაო ოთახებში, ლაბორატორიებში, ყველგან...

როგორც კი ჩვენი ქვეყნის გულიდან — მოსკოვიდან რადიომ პირველი ცნობები გადმოსცა კოსმოსში ადამიანის გაფრენის შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი ერთსულოვნად შეიკრიბა სხდომათა დარბაზში. აქ ადამიანები ერთიმეორეს ულოცავდნენ ჯერ არნახულ მეცნიერულ გამარჯვებას, ისტორიაში პირველ უდიდეს წარმატებას.

იწყება მიტინგი. ძნელია აღწერო ის სიხარული, რაც თვითეულ დამსწრეს სახეზე ეხატებოდა.

— დღეს რადიომ გადმოსცა ცნობა, რომელსაც კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს, — თქვა თავის სიტყვაში აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა რ. დვალმა მიტინგის გახსნისას.

სიტყვას იღებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. აფაქიძე.

— ჩემს პროფესიასა და ამჟერიდან ჩემი საყვარელი გმირის — გაგარინის პროფესიას შორის დიდი განსხვავებაა, — ამბობს დოქტორი, — მე როგორც არქეოლოგი, მიწის სიღრმისაკენ მივისწრაფვი, რომ ქვებში ამოვიკითხო ერის დიდება, მისი წარსული, ჩემი აწ უკვე ლეგენდარული თანამემამულე კი ცისკენ, კოსმოსისკენ მიისწრაფვის. მაგრამ ყველა პროფესიის ადამიანს მაინც ერთი მიზანი აქვს — ამდიდროს ხალხის დიდება მეცნიერებაშიც, ტექნიკაშიც.

— ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, — ამბობს ტრიბუნიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე დოცენტი გ. მანჯავიძე, — რომ მალე გავიხარებდით კოსმოსში ადამიანის გაფრენით. მაგრამ როცა ეს დღე დადგა, ჩვენი სიხარული უსაზღვროა. ყველა ჩვენგანისათვის, ყველა მეცნიერი მუშაკისათვის ეს უდიდესი სტიმულია შემდგომი შემოქმედებითი მუშაობისა.

— აი ზრუნვა მეცნიერებისა და ტექნიკისათვის, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ, აი გამარჯვება! — აღფრთოვანებით აცხადებს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი კ. ტაბატაძე, — ამ ზრუნვისათვის ვალში არ დარჩება საბჭოთა მეცნიერება და ახალი გამარჯვებებით გაახარებს სამშობლოს.

უდიდესმა აღფრთოვანებამ მოიცვა მთელი აკადემია, როცა ცნობა მოვიდა, რომ კოსმონავტი — საბჭოთა ადამიანი უვნებლად და წარმატებით დაეშვა საბჭოთა მიწაზე.

## გენერალი ნე ვინი:

### უდიდესი მიღწევა

**რუსთაველის** პროსპექტზე მანქანებით რომ მიდიოდნენ, თბილისში მყოფი ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ნე ვინისა და მისი თანამგზავრების ყურადღება მიიპყრო საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთა დიდმა ჯგუფებმა, რომლებიც რეპროდუქტორებთან იდგნენ, ყველა მანქანაში, რომლებშიც იყვნენ მეგობარი ბირმის წარმომადგენლები, დაუყოვნებლივ ჩართეს რადიომიმღებები, ასე შეიტყეს ბირმელმა სტუმრებმა აღმაფრთოვანებელი ახალი ამბავი — მსოფლიოში პირველად წარმატებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი ადამიანითურთ.

სტუმრები მთაწმინდაზე მიემართებოდნენ. როცა ისინი იქ ავიდნენ და გენერალი ნე ვინი მანქანიდან გადმოვიდა, მან კოსმოსში ადამიანის პირველ გაფრენასთან დაკავშირებით საქდესის კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა:

— ეს უდიდესი მიღწევაა. მივესალმებით მაიორ გაგარინს, მეცნიერებს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის ხალხს. ეს უდიდესი მიღწევაა მთელი კაცობრიობისათვის. განსაკუთრებით გვიხარია, რომ წარმატებით განხორციელდა გაშვება კოსმოსური ხომალდისა, რომელშიც ისტორიაში პირველად იყო ადამიანი.

როცა თქვენს პრემიერ-მინისტრს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს შევხვდი, ხაზგასმით აღნიშნა გენერალმა ნე ვინმა, მან მითხრა, შორს არ არის დღე, როცა ადამიანი კოსმოსში გაფრინდებაო. ვერ წარმომედგინა, რომ ეს დღე ასე ახლო იყო!

ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მეუღლემ ქ-ნმა ნე ვინმა, რომელიც ამ საუბარს ესწრებოდა, თქვა:

— თუ ჩვენ ესოდენ აღფრთოვანებული ვართ ამ უჩვეულო ახალი ამბით, წარმომიდგენია, რა გრძნობით არიან გამსჭვალული ახლა საბჭოთა ადამიანები!

## დარბაზობა

### ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ნე ვინის პატივსაცემად

**საქართველოს** სსრ მთავრობამ 12 აპრილს საღამოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში დიდი დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გენერალ ნე ვინის პატივსაცემად.

დარბაზობაზე გენერალ ნე ვინსა და მის მეუღლესთან ერთად იყვნენ ბირმის კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში უ სეინ მაუნგი მეუღლითურთ, პოლკოვნიკი კინ ნიო, პოდპოლკოვნიკი ლვინი და სხვა ბირმელი სტუმრები, აგრეთვე არმიის გენერალი პ. ა. კუროჩკინი, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ს. ვ. სოკოლოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. მაქსიმოვი, სამხედრო ატაშე სსრ კავშირის საელჩოსთან ბირმის კავშირში პოლკოვნიკი ა. ა. პოპოვი და სხვა პირნი, რომლებიც გენერალ ნე ვინს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

დარბაზობაზე იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მეუღლითურთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი მეუღლითურთ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, რესპუბლიკის მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა, გ. დ. ჯავახიშვილმა და გენერალმა ნე ვინმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობის მონაწილეთათვის საქართველოს ხელოვნების ოსტატთა ძალებით გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

## გენერალი ნე ვინი საქართველოში

**ბირმის** კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ნე ვინმა, რომელიც თბილისში იმყოფება, სსრ კავშირში ბირმის კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის უ სეინ მაუნგის, პოლკოვნიკ კინ ნიოს და პოდპოლკოვნიკ ლვინის თანხლებით 12 აპრილს მანქანებით იმოგზაურა ქალაქში. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ისინი მთაწმინდიდან დატკბნენ თბილისის პანორამით.

გენერალი ნე ვინი და მისი თანმხლები პირები იყვნენ საუზმეზე, რომელიც მათ პატივსაცემად გამართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა არმიის გენერალმა კ. ნ. გალიცკიმ თბილისის ოფიცერთა სახლში.

საუზმეზე, გენერალ ნე ვინის თანმხლებ პირებს გარდა, იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ნ. ზამბახიძე, საბჭოთა არმიის ოფიცრები და გენერლები.

ნაშუადღევს გენერალი ნე ვინი და მისი თანამგზავრები საბჭოთა ოფიციალური პირების თანხლებით ეწვივნენ თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას. საწარმოს კოლექტივი გულითადად შეხვდა მეგობარი ქვეყნიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ქარხნის ძირითადი საამქროებისა და საწყობების დათვალიერების შემდეგ გენერალი ნე ვინი, მისი მეუღლე და ბირმის სხვა მოღვაწეები მიიწვიეს ქართული ღვინოებისა და შამპანურის დეგუსტაციაზე. ერთ-ერთი პირველი ჭიქით აღღეგრძელეს პირველი კოსმონავტი მაიორი იური ალექსის-ძე გაგარინი.

ბირმელი სტუმრები გულითადად გამოემშვიდობნენ ქარხნის კოლექტივს, უსურვეს მას დიდი წარმატებანი.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის დიდი ზეიმი

## გული სიხარულმა აავსო

### თბილისი

**გაზაფხულის** მზის სხივები ნაირფერად აციმციმებს ათასხუთასი წლის თბილისს. ბედნიერია საბჭოთა ადამიანი. მისთვის ყოველ ახალ დღეს ახალი გამარჯვებები მოაქვს. დიდია საბჭოთა მოქალაქის წვლილი მსოფლიო კაცობრიობის ისტორიაში. და აი, საბჭოთა ადამიანმა კიდევ ერთი წარუშლელი ფურცელი ჩაწერა კაცობრიობის მატიანეში.

...გუშინ საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური ჩართული იყო. საზეიმოდ გაისმოდა ლევიტანის ხმა, რომელმაც კაცობრიობას ამცნო საბჭოთა კოსმონავტის ტრიუმფული გამარჯვება. ადამიანის ოცნება განხორციელდა. 12 აპრილი გადაიქცა ჩვენი მშრომელების ნამდვილ სახალხო დღესასწაულად. თბილისის ფართო, აყვავილებულ პროსპექტებზე, მოედნებზე, ქუჩებში სამუშაოს დამთავრების შემდეგ ალისფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით ხელში, ღიმილმოფენილი სახეებით გამოვიდნენ დედაქალაქის მშრომელები, საწარმოების მუშები, მეცნიერები, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, რითაც გამოხატეს დიდი სიხარული და აღტაცება საბჭოთა მეცნიერული აზრის გამარჯვების, საბჭოთა ადამიანის გმირობის გამო.

კეკლუც პატარძალს ჰგავდა საზეიმოდ გამოწყობილი საღამოს თბილისი. ათასფერმა ილუმინაციამ კიდევ უფრო დაამშვენა ჭალარა დედაქალაქი. მოედნებზე, პარკებსა და სკვერებში გაიმართა სახალხო სეირნობა. სასიამოვნო უკრავდნენ სასულე ორკესტრები ლენინისა და გმირთა მოედნებზე.

გული სიხარულით გიძგერს, რომ ცხოვრობ კომუნიზმის შენების ეპოქაში, როცა ადამიანი იპყრობს კოსმოსურ სივრცეს და ციური სამყაროს პირველ შევარდნად იქცევა.

ჭკუფ-ჭგუფად შეგროვილი სახეგაბრწყინებული მუშები ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აღფრთოვანებას. მოწინავე მუშამ სარდიონ ნადირაშვილმა ამხანაგებთან საუბარში განაცხადა:

— მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსების უდიდესი გამარჯვებით. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დამსახურებულად ვამაყობთ იმით, რომ კოსმოსში პირველად საბჭოთა მოქალაქე გაფრინდა. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ამ წარმატებას უფრო მეჯითი და თავდადებული შრომით ვუპასუხებ.

### ბათუმი

**ბათუმი.** (საკ. კორ.). სასიხარულო ცნობა კოსმოსში საბჭოთა ადამიანის გაფრენის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო აჭარის ასს რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებს. ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართულ სახელდახელო მიტინგებზე მშრომელები სიამაყის გრძნობით აღნიშნავდნენ საბჭოთა მეცნიერების კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას — კოსმოსური ხომალდით ადამიანის გაშვებას, რომელიც მშვიდობით დაბრუნდა მშობლიურ საბჭოთა მიწაზე.

— ჩვენ, მენავთობეები, უდიდესი სიამაყის გრძნობით გავიმსჭვალეთ, როცა შევიტყვეთ საბჭოთა მეცნიერების ესოდენ დიდი გამარჯვება, — თქვა მიტინგზე გამოსულმა ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მეორე საამქროს ოპერატორის თანაშემწემ გ. საყვარელიძემ. — იური გაგარინის გმირობა ოქროს ასოებით ჩაიწერება კოსმოსის კვლევის ისტორიაში. დიდება მას, კოსმოსის პირველ გმირს!

ასეთივე ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა გემთსაშენ, მანქანათსაშენებლო ქარხნებში, ქარხანა „ელექტროპრიბორში", ფეხსაცმლის ფაბრიკაში, სადაც ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს, აგრეთვე პედაგოგიურ ინსტიტუტში.

### სოხუმი

**სოხუმი.** (საკ. კორ.). აქ უდიდესი კმაყოფილებით მოისმინეს ცნობა საბჭოთა ადამიანის კოსმოსში გაფრენის შესახებ. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეგროვდა ხალხი რადიორეპროდუქტორებთან, რომ გაეგოთ პირველი კოსმონავტის მაიორ იური გაგარინის კოსმოსში გაფრენის ამბავი.

სოხუმის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატში

### სტალინირი

**სტალინირი.** (საკ. კორ.). სიხარული, აღფრთოვანება მოეფინა ქალაქებსა და სოფლებს, საბჭოთა მეცნიერებამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა — კოსმოსში გაფრინდა და მშობლიურ მიწაწყალს დაუბრუნდა ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილი, რეპროდუქტორებთან, რადიომიმღებებთან ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან მშრომელები, რათა დაწვრილებით შეიტყონ ამ ისტორიული გამარჯვების ამბავი.

— იდიდე, ჩვენო სამშობლოვ! — ასე განაცხადა სტალინირის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის საზეინკლო-მექანიკური საამქროს უფროსმა გიორგი სპიცკიმ. — ვაშა ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს საბჭოთა ადამიანს, რომელმაც პირველმა გაკვალა გზა კოსმოსურ სივრცეში.

— დაე მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყანა, ახალ და ახალ მწვერვალებს იპყრობდეს საბჭოთა მეცნიერება! ჩვენ, კოლმეურნეები, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა განუწყვეტლივ ვზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, — საუბრობდა მინდვრად გამოსულ კოლმეურნეებთან სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ა. გოგიძე.

## მოსკოველები ტაშს უკრავენ

**რეპორტაჟი მოსკოვიდან**

**ჩვენს** სამშობლოში როცა დიდმნიშვნელოვანი რამე მოხდება ხოლმე, მოსკოველები კრემლისაკენ მიდიან, წითელ მოედანზე თავს იყრიან, რომ სიამაყით ერთხელ კიდევ შეხედონ მსოფლიოს მშვიდობის შტაბს — კრემლს, რომ მოუსმინონ კრემლის კურანტთა მძლავრ გუგუნს.

გაზაფხულის თბილი, მზიანი დღეა. წითელ მოედანზე ათასობით მშრომელი შეიკრიბა, ისინი მოდიან ლოზუნგებით, რომლებზეც აწერია: „დიდება პირველ საბჭოთა კოსმონავტს".

მოედნის ერთ კუთხეში კი ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტებს წრე შეუკრავთ და ხელიხელგადახვეულნი, სხვადასხვა ეროვნებისა და სხვადასხვა ფერის კანის ახალგაზრდები თავიანთ ენაზე მღერიან სიმღერას: „თუ მსოფლიოს ახალგაზრდები...". წრეში ახალგაზრდა გოგონები და ვაჟები თავიანთ ეროვნულ ცეკვებს ასრულებენ.

რა ახარებს აი იმ შავკანიან აფრიკელს ან კონგოელ სტუდენტს?

მათი სიხარულის მიზეზი ერთია: საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა, რომელშიც მაიორი გაგარინი იჯდა, აფრიკას გადაუფრინა და შემდეგ დანიშნულების ადგილზე დაეშვა. ეს მშვიდობას ემსახურება, ხოლო მშვიდობა მთელ მსოფლიოში ყოველი ადამიანის მისწრაფებაა.

ბევრი ამ დიდმნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად კრემლის ფონზე იღებს სურათს.

წითელ მოედანზე მოდიან ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკები. მათ სიახლოვეს უზარმაზარი რიგი გაჩნდა. მშრომელები მისალოც დეპეშებს უგზავნიან იური გაგარინს პირდაპირ წითელი მოედნიდან.

ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით დრამატურგ ნ. ვირტას. აი რა გვითხრა მან: „ჩემი პიესა „ზაფხულობით ცა მაღალია" წარმატებით მიდის მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრში. ეს პიესა საბჭოთა კოსმონავტებს მივუძღვენი. მასში ვუჩვენე კოსმოსის დამპყრობ მეცნიერთა ცხოვრება. სპექტაკლისათვის მუსიკა თქვენმა თანამემამულემ კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა დაწერა.

გუშინ მოსკოვის საღამოს გაზეთებმა გააშუქეს კოსმოსის პირველი დამპყრობის გმირული საქმე. გაზეთ „იზვესტიას" საღამოს გამოშვებაში გ. ოსტროუმოვი წერს: „ჩვენ იმ დასახლებულ პუნქტში ვართ, სადაც იური გაგარინი დაეშვა, ვერტმფრენით იგი ამხანაგებთან ერთად დაბაში გადაიყვანეს, საიდანაც ტელეფონით ესაუბრა ნ. ს. ხრუშჩოვს. ი. გაგარინი ამბობს: „ცა კოსმოსური ხომალდიდან ძალიან ბნელი ჩანს, ხოლო დედამიწა მოცისფროა. დედამიწაზე ყველაფერი კარგად ჩანდა".

სპორტულმა კომისარმა ი. ბორისენკომ ერთდროულად გაგარინის სამი რეკორდი ჩაწერა საპატიო წიგნში: სიმაღლის რეკორდი, ხანგრძლივი ფრენისა და ტვირთამწეობისა.

„იზვესტიის" საშუალებით გაგარინმა საბჭოთა მშრომელებს მიულოცა საბჭოთა მეცნიერების დიდი წარმატება.

## საოცარია!

**ჩვენი ინტერვიუ**

**ადამიანს** უყვარდა ოცნება, ფიქრი, იგი ქმნიდა მოელვარე ზღაპრებს. თავის ცხოვრებაზე უკმაყოფილოს ოცნებით შორს უნდოდა წასვლა, ახალი, საკუთარი ცხოვრების შექმნა.

ამჟამად კი საბჭოთა ადამიანი ოცნებაზე და ნაფიქრზე შორს წავიდა, გაემართა მოელვარე ვარსკვლავებს შორის, გამოეხმაურა მათ...

და დაიბადა ახალი მეცნიერება... დაიბადა ახალი მიზანი, კოსმოსის ფაქტიური შესწავლა, კოსმოსის ათვისება, მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენება... ყველაზე დიდი ნაბიჯი მშვიდობისაკენ არის ჩვენი კოსმოსის პირველი მოგზაურის მაიორ გაგარინის მშვიდობით დაბრუნება დედამიწაზე... ახალი არე ადამიანის მოღვაწეობისათვის გახსნილია.

ეს ზღაპარშიც არ გაგონილა, ოცნებაშიც არ დასახულა. საბჭოთა ადამიანის სინამდვილე ყოველივე ამაზე მაღალი და დიადია.

**ნ. კეცხოველი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

* * *

**საბჭოთა** ადამიანის კოსმოსში გაგზავნა მხოლოდ ტექნიკური აზრის უმაღლესი განვითარების დემონსტრაცია კი არ არის, არამედ ეს არის თავისუფალი საბჭოური მეცნიერების უსაზღვრო შესაძლებლობათა დემონსტრაცია. კომუნიზმი ეუფლება კოსმოსს. ამაყი და აქამდე მიუწვდომელი კოსმოსი ქედს იხრის კომუნიზმის მშენებელი ადამიანის წინაშე.

უსაზღვროა ჩვენი სიხარული.
გაუმარჯოს საბჭოურ მეცნიერებას!

**ნ. ბერძენიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## ჭეშმარიტი გმირი

ცნობა იმის შესახებ, რომ გაუშვეს მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხომალდი, რომელშიც ადამიანი იყო, გულის სიღრმემდე აღგვაფრთოვანებს, კანონიერ სიამაყეს იწვევს ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის, ჩვენი გმირი შემოქმედი ხალხისათვის. ეს დიდი ხალხის დიდი გმირობაა.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ კოსმოსში პირველი შეაღწევდა საბჭოთა ადამიანი. ეს ადამიანია მფრინავი მაიორი ი. ა. გაგარინი. ძალიან სასიხარულოა, რომ მან წარმატებით შეასრულა სამშობლოს ისტორიული დავალება, ბედნიერად დაბრუნდა მშობლიურ ქვეყანაში.

**ალექსანდრე პოკრიშკინი,**
ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი.



**ადამიანმა** კოსმოსი დაიპყრო! ახლა კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება, ერთ დროს ზღაპარი დღეს სინამდვილედ იქცა. ჩვენმა სამამულო მეცნიერებამ და ტექნიკამ მსოფლიო ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა.

საბჭოთა მეცნიერების ეს დიადი ძალა ბევრი ხელოვანისათვის შემოქმედების უშრეტი წყაროა.

სურათზე თქვენ ხედავთ ფოლადის სკულპტურას, რომლის ღრმა სიმბოლურ შტრიხებში გადმოცემულია ადამიანის წინსვლა, სწრაფვა მეცნიერების ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

„გონების აღმაფრენა" — ასე ეწოდება ამ სკულპტურას, და მართლაც, რაოდენი შინაგანი, დევგმირული სული იგრძნობა მის დინამიურ ფიგურაში. იგი საბჭოთა მეცნიერების ეპოქალური მიღწევების შესანიშნავი სიმბოლური გადაწყვეტაა.

ფოლადის ეს სკულპტურა, რომლის ავტორია სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი-არქიტექტორი ლევან მამალაძე, აღიმართება თბილისში საქართველოს სსრ სამრეწველო გამოფენის ცენტრალურ მოედანზე.

## ჩემპიონის სამი დამარცხება ზედიზედ

**მოსკოვი.** 12 აპრილი. (ტელეფონით). დღეს ტალმა გადაწყვიტა ფრთხილად ეთამაშა. მან უკვე ორი პარტია წააგო ზედიზედ, ამიტომ საჭირო გახდა ერთგვარი „შესვენება", ამასთან, როგორც მსოფლიოს ჩემპიონმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, მის ვაჟს ნახევარი წელი შეუსრულდა და ასეთ საზეიმო დღეს ტალს არ სურდა განწყობილების გაფუჭება.

მსოფლიოს ჩემპიონს შავებით უნდა ეთამაშა. შექმნილ ვითარებაში კი ბოტვინიკის წინააღმდეგ ძნელია იოლად მიაღწიო ყაიმს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ტალი დაუფლებული არ არის ეგრედწოდებული გროსმაისტერული ყაიმის ტექნიკას. დღეს კი ტალისათვის ზედმეტი არ იქნებოდა პეტროსიანის ტექნიკა, რომელიც ყაიმს აკეთებს ყოველთვის, როდესაც მოისურვებს.

ერთი სიტყვით, დღეს ტალმა კვლავ გადააჭარბა, იგი დათანხმდა პოზიციის გამარტივებაზე და არ გაითვალისწინა ის, რომ თეთრები ყოველთვის შეინარჩუნებდნენ ინიციატივას. საერთოდ სლავური დაცვის ეგრეთწოდებული გაცვლითი ვარიანტის არჩევა ბოტვინიკის წინააღმდეგ არ არის მიზანშეწონილი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ხომ სწორუპოვარი ოსტატია ისეთი პოზიციების გათამაშებისა, სადაც მას მინიმალური უპირატესობა აქვს, მეტოქე კი მოკლებულია ინიციატივას.

თვითეული სვლით თეთრების მუქარები იზრდებოდა და ტალს მოუხდა პაიკის დათმობა. მართალია, მან ამ მცირე მატერიალური დანაკლისის ნაცვლად ერთგვარი კომპენსაცია მიიღო. დაფაზე მეფეების, ეტლებისა და პაიკების გარდა სხვადასხვა ფერის კუ დარჩა, რაც ყოველთვის ზრდის ხოლმე ყაიმის შანსებს, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში ტალს უნდა ეთამაშა უაღრესად ფრთხილად და ზუსტად, პასიურად ეცადა თეთრებისათვის, რათა შესაფერ მომენტში მიეღწია ყაიმისათვის. ასეთი თამაში ტალს არ უყვარს. და აი ახლაც მან შესაფერი თავდაჯერა ვერ გამოიჩინა. შავების შეცდომების შემდეგ თავისი უპირატესობა ბოტვინიკმა ვირტუოზულად მიიყვანა გამარჯვებამდე. ანგარიში გახდა 7,5 : 3,5 ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ. დარჩენილ 13 პარტიაში ბოტვინიკს კიდევ 5 ქულის მოგროვება სჭირდება, მაშინ როდესაც თავის წოდების შესანარჩუნებლად ტალმა უნდა მოაგროვოს კიდევ 8,5 ქულა.

ხვალ შეჯიბრების მონაწილეები ისვენებენ. მორიგი მე-12 პარტია შედგება პარასკევს, 14 აპრილს, თეთრებით ითამაშებს ტალი.

**ლ. აბრამოვი,**
ოსტატი.

## უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიღების ახალი წესები

**საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრთან ვ. პ. ელიუტინთან**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაამტკიცა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში შემსვლელთა მიღების ახალი წესები 1961 წლისათვის.

რა ცვლილებებია შეტანილი მიღების წესში? ასეთი კითხვით მიმართა საქდესის კორესპონდენტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ვ. პ. ელიუტინს.

მიმდინარე წელს, განაცხადა ვ. პ. ელიუტინმა, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისევე ტექნიკუმებში მიღების წესები შედგენილია ისე, რომ ერთიანია დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმათა სასწავლებლებისათვის.

როგორც წარსულ წლებში, შემსვლელმა უმაღლეს სასწავლებელში თუ ტექნიკუმში შესასვლელად წარმატებით უნდა ჩააბაროს შესასვლელი გამოცდები და გაიაროს საკონკურსო შერჩევა, კონკურსს გარეშე სასწავლებლები მიიღებენ წარმოების მოწინავეებს, რომლებსაც გზავნიან სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია, გარდა ამისა, კონკურსგარეშე შესვლის უფლება კვლავინდებურად აქვთ დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ოფიცრებს, რომლებიც თადარიგში დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან 1960 წლის კანონის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში მიიღებენ მათთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

წარმოებას მოწყვეტით სასწავლებელში ჩარიცხვის დროს უპირატესი უფლება ენიჭება შემსვლელებს, რომლებსაც სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულთ.

უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში უწინარეს ყოვლისა მიიღებენ წარმოების მუშაკებს, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი შრომაში, და რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება არჩეულ სპეციალობას.

წარსული წლებისაგან განსხვავებით უკლებლივ ყველა დღის უმაღლეს სასწავლებელში ახლა დაწესებულია აუცილებელი შესასვლელი გამოცდა ერთ-ერთ უცხო ენაში.

უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მიმღებ კომისიებს მიცემული აქვთ რჩევა მუშა ახალგაზრდობის მიღების დროს სასწავლებელში ჩარიცხონ პირველ რიგში კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები და წარმოების მოწინავენი.

მიმღები კომისიების შემადგენლობაში შევლენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

---

**პეკინი,** 12 აპრილი. საქდესის კორესპონდენტი ი. გავრილოვი იუწყება:

საქდესის ცნობა კოსმოსურ სივრცეში საბჭოთა ადამიანის მსოფლიოში პირველი გაფრენის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ჩინეთს. ეს ცნობა მაშინვე გადასცა სინხუას სააგენტომ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა პეკინში შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემა და გადასცა უკანასკნელი ცნობების სპეციალური გამოშვება, რომელშიც გამოაქვეყნა ცნობა საბჭოთა მეცნიერების ახალი მსოფლიო-ისტორიული გმირობის შესახებ.

გადაეცით ჩვენი უაღრესად მხურვალე მილოცვა საბჭოთა ადამიანებს, ვამაყობთ ჩვენი საბჭოთა ძმების წარმატებებით. დაუჯერებელია, ფანტასტიკურია, — ასე ამბობს ყველა პეკინელი.

ჩვენ უკვე დიდი ხანია შევეჩვიეთ იმას, რომ საბჭოთა მეცნიერება განუწყვეტლივ აკვირვებს მსოფლიოს თავისი ეპოქალური მიღწევებით. ახლა გახსნილია ახალი ჰორიზონტები კოსმოსის ათვისებაში, ბუნების შესახებ ადამიანის ცოდნის გაფართოებაში, თქვა პეკინის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელმა ჯაო ხუა სინმა, როცა გაიგო კოსმოსურ სივრცეში ადამიანის მსოფლიოში პირველი გაფრენა, ძნელია სიტყვების გამონახვა იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ამ მსოფლიო-ისტორიული მიღწევის მნიშვნელობა.

**ნიუ-იორკი,** 12 აპრილი. (საქდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტებმა „ელვა" დეპეშებით გადასცეს საქდესის ცნობა საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ, რომელშიც ადამიანი იმყოფება. ცნობებში აღნიშნულია, რომ ფრენა წარმატებით მიმდინარეობს, რომ პილოტ იური გაგარინს მუდმივი კავშირი აქვს დედამიწასთან და „ძალიან კარგად არის".

**ლონდონი,** 12 აპრილი. (საქდესი). ახლა კაცობრიობის დიდი ხნის ოცნება — პირველი ადამიანი გაფრინდა კოსმოსში. და ეს ადამიანი საბჭოთა კოსმონავტია. ლონდონის რადიომ, როგორც კი გამოქვეყნდა საქდესის ცნობა იმის შესახებ, რომ კოსმოსში გაფრინდა პირველი ადამიანი საბჭოთა კოსმოსური ხომალდით „აღმოსავლეთით", გამოაქვეყნა ეს განსაცვიფრებელი ახალი ამბავი, შეწყვიტა რა მთელი თავისი გადაცემა.

### კოსმოსის მკვლევართა საერთაშორისო სიმპოზიუმი

**ფლორენცია,** 11 აპრილი. (საქდესი). 25 ქვეყნის მეცნიერები შეიკრიბნენ დღეს აქ „პიტის" სასახლეში კოსმოსური კვლევის საერთაშორისო სიმპოზიუმზე. სიმპოზიუმის მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინდოეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო მკვლევარნი, ისინი მოისმენენ ასზე მეტ მეცნიერულ მოხსენებას ისეთ თემებზე, როგორიცაა კოსმოსური სივრცის უახლესი გამოკვლევა თანამგზავრებისა და რაკეტების საშუალებით, ოპტიკური ინსტრუმენტებისა და რადიოს გამოყენება კოსმოსის გამოკვლევაში, დაკვირვება მაგნიტურ ველზე და ასე შემდეგ.

**გამოხმაურება უცხოეთში**

# ეს სასწაულია!
## —ჰქუხს მსოფლიო

**ლონდონი,** 12 აპრილი. (საქდესი). „ელვა" — საბჭოთა კავშირმა პირველი ადამიანი გაგზავნა კოსმოსში! — იუწყება რეიტერის სააგენტო. ეს ცნობა მეორდება განუწყვეტლივ, გადაიდო მთელი დანარჩენი ინფორმაცია.

**პარიზი** 12 აპრილი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტომ საქდესის შემდეგ დაუყოვნებლივ „ელვით" გადასცა ცნობა საბჭოთა თანამგზავრი ხომალდის გაშვების შესახებ, რომელშიც არის ადამიანი.

**პარიზი,** 12 აპრილი. (საქდესი). ამბავმა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა გაუშვა კოსმოსური ხომალდი, რომელშიც არის ადამიანი, მთელი საფრანგეთი აღაფრთოვანა. ამ ისტორიულმა მოვლენამ მეორე პლანზე დააყენა საერთაშორისო და საფრანგეთის შინაპოლიტიკური ცხოვრების მთელი დანარჩენი მოვლენები. ფრანს პრესის სააგენტომ შეწყვიტა მთელი თავისი გადაცემა, რათა „ელვის" სერიით გამოექვეყნებინა ცნობები ამ მსოფლიო ისტორიული მოვლენის შესახებ. საფრანგეთის რადიომ გამოაცხადა, რომ რეგულარულად გადასცემს ამ მოვლენის დაწვრილებით ცნობებს. ყოველ 10-15 წუთში საფრანგეთის რადიო აქვეყნებს ცნობებს საბჭოთა ადამიანის კოსმოსში გაფრენის შესახებ.

ზოგიერთი გაზეთი სასწრაფოდ ამზადებს სპეციალურ გამოშვებას საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო-ისტორიული გმირობის შესახებ.

საქდესის პარიზის განყოფილებაში ადრე დილიდანვე არ წყდება ტელეფონის ზარის ხმა: პარიზელები უდიდეს ინტერესს იჩენენ ყოველივე იმისადმი, რაც დაკავშირებულია ამ ისტორიულ მოვლენასთან. ბევრი მათგანი ითხოვს, რომ საბჭოთა ადამიანებს გადასცენ მხურვალე მილოცვა და აცნობონ, რომ აღტაცებული არიან მათი შესანიშნავი გმირობით.

**ვარშავა,** 12 აპრილი. (საქდესი). „საბჭოთა ადამიანი კოსმოსში!" ეს სიტყვები უმალ მოეფინა მთელ პოლონეთს. პოლონეთის რადიო განუწყვეტლივ გადასცემს ცნობებს საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთის" გაფრენის შესახებ, რომელზეც არის სსრ კავშირის მოქალაქე.

პირველი კოსმონავტის იური ალექსის ძე გაგარინის შესახებ უკვე ლაპარაკობენ პოლონეთის სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, ახალშენებებზე. ზღაპარი სინამდვილე გახდა! ეს მოახდინა საბჭოთა ხალხმა, ქვეყანამ, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნიზმს! — აღტაცებით ამბობენ პოლონელი მშრომელები.

**ბონი,** 12 აპრილი. (საქდესი). დპას სააგენტომ საქდესის შემდეგ დაუყოვნებლივ „ელვა" დეპეშით გამოაქვეყნა ცნობა კოსმოსში ადამიანის გაშვების შესახებ: „მოსკოვი: განხორციელდა კოსმონავტის პირველი გაფრენა დედამიწის გარშემო".

**სტოკჰოლმი,** 12 აპრილი, (საქდესი). სტოკჰოლმის რადიომ შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი გადაცემა, რათა გამოექვეყნებინა ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში წარმატებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი", რომელშიც ადამიანი არის.




შეხვედრა კოსმოსში
ნახ. გ. ფირცხალავასი.

## ფრანგი რეჟისორი სტუმრად თბილისში

საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრის მოწვევით, რომელიც შექმნილია სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებასთან, საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის გენერალური მდივანი, გამოჩენილი ფრანგი თეატრალური მოღვაწე, რეჟისორი და მსახიობი ჟან დარკანტი.

იმ მიზნით, რომ გაცნობოდა საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას, ჟან დარკანტი ოთხ დღეს სტუმრად ეწვია საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას. მან გაიცნო თბილისი და მცხეთა, ნახა ქართული ფილმები, დაესწრო რუსთველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა მეცადინეობას, დაინტერესდა ახალგაზრდა თეატრალური კადრების აღზრდის სისტემით, ეწვია თვალსაჩინო ქართველი თეატრალური მხატვრის ი. გამრეკელის მემორიალურ მუზეუმს.

ჟან დარკანტმა ნახა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", კომედიამ სტუმარზე განსაკუთრებული სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. შთაბეჭდილების წიგნში მან ჩაწერა:

„იმ შესანიშნავი საღამოს სახსოვრად, რომელიც გავატარე თეატრში, სადაც არ მესმოდა არც ერთი სიტყვა, მაგრამ აღფრთოვანებული ვიყავი პიესითა და მსახიობებით".

ჟან დარკანტს ძლიერ მოეწონა რუსთველის სახელობის თეატრის სპექტაკლი „ბახტრიონი".

მარჯანიშვილის სახელობისა და რუსთველის სახელობის თეატრების მუშაკებთან, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. მრევლიშვილთან საუბარში ჟან დარკანტმა განაცხადა, რომ სპექტაკლებმა, რომლებიც მან ნახა, და რომლებიც სულ სხვადასხვაგვარია დადგმის სტილისა და შინაარსის მიხედვით, გაახარეს იგი თავიანთი მაღალი კულტურითა და სცენური განსახიერების ოსტატობით.

თბილისში ყოფნის დროს ჟან დარკანტს ახლდა საერთაშორისო თეატრის ინსტიტუტის საბჭოთა ცენტრის პასუხისმგებელი მდივანი ა. ვ. დენისოვი. (საქდესი).

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

**13 აპრილი**

**თეატრები:** ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — კარმენი (მე-5 აბონ. მე-8 წარმ.), რუსთველის სახელობის — ქარიშხალში, მარჯანიშვილის სახელობის — მოელვარე დღეები, გრიბოედოვის სახელობის — მედილე ქალი (მე-4 აბონ. მე-3 წარმ.), სანკულტურის — პროფესორ დოუელის თავი, თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს.), დიდი ივანე (2 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — ინია ტე ვიატა (ბარიტონი).

**ტელევიზია:** 12.00 — მხატვრული ფილმი — „ჩრდილოეთის მოთხრობა", 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.30 — უმცროსკლასელთათვის — „ჩვენი ვარსკვლავი, 18.45 — უფროსკლასელთათვის — „პატარა კონცერტი", 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე", 19.35 — სიმღერები პარტიაზე, სამშობლოსა და მშვიდობაზე, 20.05 — ახალი ამბები, 20.20 — მხატვრული ფილმი „თეთრი ღამეები".


**ჩვენი მისამართი და ტელეფონები:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, ხაზდიენის — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ხაილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.